ხელშეკრულება №349
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი „28“ სექტემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“**, შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **თემურ მახარაძის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „დათანატა“** შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **როლანდ ქამადაძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო თეატრების მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვარის № 99 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სპექტაკ „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“-ს შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით სცენის დეკორაციისთვის საჭირო სხვადასხვა საქონლის **(CPV – 79952100)** შესყიდვა ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად (შემდგომში - „შესყიდვის ობიექტი“);

N	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საქონლის ფასი (ლარი)
1	საღებავი წყლოვანი HILAL PLASTIK 20/1	ცალი	1	49,65	49,65
2	საღებავი სპრეის სახით 300 მლ ოქროსფერი	ცალი	5	4,00	20,00
3	საღებავი სპრეის სახით 300 მლ ყვითელი	ცალი	3	3,50	10,50
4	საღებავი სპრეის სახით 300 მლ მწვანე	ცალი	5	3,50	17,50
5	წებო 20/1 MEGES TUTKAL	ცალი	1	65,00	65,00
6	კოლერი პასტა PALIZH100 მლ	ცალი	26	2,00	52,00
7	დანის პირები (10ც) PL5-3	ცალი	3	2,00	6,00
8	Grabond MDF KIT 400 ml/100 gr/მდფ კიტ წებო	ცალი	5	10,00	50,00
9	TOL687-76802 ელ.ხერხის საცვლელი პირები 5ც.-იანი T144D	ცალი	3	6,00	18,00
10	სჭვალი პრეს/შ 4.2*19	ცალი	1000	0,025	25,00

	ბურღ				
11	პოლიურეთანის ქაფი 850 ML (DWT)	ცალი	5	10,00	50,00
12	სილიკონის წებო -ჩხირი 1 კგ (AKFIX)	ცალი	4	20,00	80,00
13	გამჭვირვალე აკვარიუმის სილიკონი	ცალი	5	6,50	32,50
14	ელექტროდი საშემდუღებლო 2,50*350 მმ	ცალი	1	13,00	13,00
15	საშემდუღებლო ელექტროდი 3.20*350მმ	ცალი	1	17,00	17,00
16	სამანქანე თოკი	კგ	2,20	10,00	22,00
17	NVVu 2*1.5 სპილენძის ელექტრო სადენი ორმაგი იზოლაციით	მეტრი	60	1,10	66,00
18	შავი ზუმფარა 25მ N180	მეტრი	1	4,50	4,50
19	TOL476-38024 საიზოლაციო ლენტა 15M(თეთრი)	ცალი	20	1,00	20,00
20	ვილკა სწორი PROF 16ა	ცალი	10	2,00	20,00
21	GO-2001 ნათ 35X125 60W E-14 GLEAR	ცალი	16	1,00	16,00
22	ნათურის ვაზნა	ცალი	16	1,00	16,00
23	საკანალიზაციო მილი 50*2000 (1,8მმ) KAYSER	ცალი	1	4,00	4,00
24	100*2000 1.8 პლასმასის მილი	ცალი	1	6,00	6,00
25	საკანალიზაციო მილი 150*2000 (1,8მმ) KAYSER	ცალი	1	18,00	18,00
26	მავთული 4.0	კგ	8,80	3,50	30,80
27	საჭრელი რგოლი 230*2,0*22,23 14 A	ცალი	3	2,50	7,50
28	საჭრელი რგოლი 180*2,0*22,23 14 A	ცალი	3	1,95	5,85
29	ჭანჭიკი 16*100	კგ	4,15	8,00	33,20
	ჯამი				776,00

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **776,00** (შვიდას სამოცდათექვსმეტი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ, შესაბამისი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც გაფორმდება, მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ და დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ა. პუშკინის ქN41

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადების დღიდან 2 (ორი) დღის ვადაში;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.1.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1.მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.2.2.უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1.დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.4.2.მიაწოდოს შესყიდვის ობიექტის სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულებით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის კონტროლს.

7.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1% -ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით.

10.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

10.3. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

10.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია: 2018 წლის 28 სექტემბრიდან - 2018 წლის 25 დეკემბრამდე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“

მის: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი № 49

საიდენტიფიკაცო კოდი: 245 429 415

სახელმწიფო ხაზინა

თემურ მახარაძე

მიმწოდებლი:

შპს „დათანატა“

მის: ქ. ბათუმი, ა. პუშკინის ქN41

საიდენტიფიკაცო კოდი: 445 488 650

სს ,,თიბისი ბანკი''

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ნ: GE63TB 7709 3360 5010 0001

როლანდ ქამადაძე

ინფორმაცია
(ინტერესთა კონფლიქტის შესახებ)

ქ.ბათუმი 28 სექტემბერი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად, ჩვენ ხელმომწერნი, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“-ს მიერ შპს **„დათანატა“**-თან (ს/კ445 488 650) 2018 წლის 28 სექტემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №349 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი: თემურ მახარაძე

შესყიდვების კოორდინატორი: ლინდა დიასამიძე

სადადგმო ნაწილის გამგე: ფრიდონ მოდებაძე